

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

8 ივლისი 2011 №14(144)


1516

2011

შაკა ვოხაძის ესეი
რობერტ ფროსტის ლექსები
რეი ბრედბერის კუდიანი ტარო
ლინ კოფინი იოსიფ ბროდსკიზე
სიმართლე, ტკბილიც და მწარეც
ორლანდოური სამყაროს ანარეკლი
ლუარსაბ თათქარიძის საზოგადოება
რევაზ სირაძე ქართულ ეკონოგრაფიაზე
იყვებენ ქართველები ნაპოლეონის არმიამი?



წიგნის თარო



დავითიძის სახელობის პარლამის პალატა	2	3	მაკა ჯოხაძე თაშყვის ინსტიტუტი
მესაბუნეთ-ნიმბიანი	4	4	გოჩა ჯაფარიძე იყვანენ ქართველანი ნაპოლეონის არმიები? (გამოხმაურება მერაბ კალანდიაძის სტატიაზე)
დოჰაშვილი პარკი	6	6	თამარ შინაშვილი „ბანაბაძე შიში მოგვავლის წინაშე“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პოპოვაშვილი პარკი	7	7	როსტომ ჩხეიძე ღუზარსა თათქარაძის საზოგადოება
პოპოვაშვილი პარკი	15	15	მარიამ ნიკოლაური ღაბრის დოღმანაძე
პოპოვაშვილი პარკი	20	20	ლინ კოჭინი იოსებ ბროდსკი იოსებ ბროდსკი განცხადება (იდეალისტური რეჟიმის ცნობა)
პოპოვაშვილი პარკი	25	25	ნინო ვახანია ირვანდური საზოგადოების ანარქიზმი (უილიამ ბატლერ იეიტსის „კულტური მიმწეხრი“)
პოპოვაშვილი პარკი	27	27	ემზარ კვიციანიშვილი თაბაქაძე
პარლამენტის მდივანთა სამსახურის მდივანთა	29	29	რევაზ სირაძე ქართული იუმორისათვის (ზაზა სხირტლაძის მონოგრაფია „ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა. თელოვანის ჯეგარბატოსანი“)
სიღვინოშვილი ნარსალიძის სამსახურის მდივანთა	33	33	თამაზ ნატროშვილი სიმართლე, ტკბილიც და მწარეც მარინე ტურაძე ორი ახალი წლის ლოცვა (ზაურ კალანდიას „უსიზმრებო დამე“)
კარიკატი	38	38	ეკა ბუჯიაშვილი მს ბოლო ოცი წელიწადი (შეხვედრა თათია პაჭკორიასთან)
კარიკატი	39	39	ელენე ამალობელი „რომ არ ამოვიპს ხალხი ნაღველი“ (ლევანია ისკანდერიას — პიესა)
დოღოვი	42	42	ნისე კარბაძის თაყვა ვევაძე (ნინო დოღიძის ესაუბრება კატო ჯავახიშვილი)
პროფ. დიმიტრი სიმონი	44	44	სერგი ლომაძე, კახა ზვიციაძე სიმონი სიმონისა (გიორგი კეცელიძის ლექსი „სიცრუე“)
პროფ. დიმიტრი სიმონი	45	45	თამილა ნონოროია ნათლის ხმა გამორქოდა (ზვიად კვარაცხელიას ნოველები)
პროფ. დიმიტრი სიმონი	47	47	მაია ჯალიაშვილი სასიყვარულო ონაინ თამაში (დანიელ გლათაურის „უგბარა ჩრდილოეთის ქარის წინააღმდეგ და ყოველი მეშვიდე ტალღა“)
პროფ. დიმიტრი სიმონი	50	50	გივი გამრეკელი ინტერნეტი ჩვენ ვერ დავტოვებავს (ბორის გელფანდი)
პროფ. დიმიტრი სიმონი	53	53	თექვე ჯანელიძე რუმე ნიგინ ზაცისკან გვახადებს რობერტ ფროსტი პარლამის სათხოვნად
პროფ. დიმიტრი სიმონი	54	54	რეი ბრედბერი კუდიანი ტარო ლემსი ბაბაროს ტრიგუნდიან
პროფ. დიმიტრი სიმონი	55	55	
პროფ. დიმიტრი სიმონი	56	56	
პროფ. დიმიტრი სიმონი	63	63	

ორკვირული ფურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუხინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62

რედაქცია – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 32) 96_20_62

E-mail: info@mtsferloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაშულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩხლაძე სარედაქციო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე
გარეკანზე: მარიამ ნიკოლაური
ფოტოგრაფი: ჯემალ კასრძიასი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 ივლისს





მაკა ჯობაძე

თაობის ინსტიტუტი

2002 წლის ნოემბლის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში იმრე კერტესი, რომელიც მთელი ცხოვრება პოლოკოსტზე წერს და რომელსაც ამის გამო უამრავ თაყვანისმცემელთან ერთად ირონიულად განწყობილი მკითხველებიც ჰყავს (როგორ შეიძლება მწერალი მთელი ცხოვრება მხოლოდ ერთ თემას უტრიალებდეს!), ასეთ რამეს ამბობს: „იმისათვის, რომ ადამიანმა გაიფიქროს ის დათრგუნული ხმა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იმის თანამედროვე ევროპულ ხელოვნებაში, სულაც არ არის აუცილებელი შემოქმედების თემა და პოლოკოსტი ავირითო*“. იგი პოლოკოსტს არ უყურებს როგორც ურთიერთობის პრობლემას გერმანელებსა და ებრაელებს შორის:

„მე პოლოკოსტიმ აღმოვაჩინე ადამიანური სიტუაცია, დიდი მოგზაურობის ბოლო ნერტილი, რომელსაც მაილია ევროპელმა კაცმა თავისი ორბათს წელზე მტკნო ნისი მორალურ-ეთიკური კულტურით. დღეს მხოლოდ იმაზე უნდა ეფიქროთ, საით ვიმძირათ ასეთი ტვირით... უფრო მეტიც, არ ვიცნობ ისეთ ნამდვილ ქემპარიტ ხელოვნებას, რომელიც არ იგრძნობოვს ეს დათრგუნულობა“.

ამ დათრგუნულობის განცდას, სხვა რომ არაა ფაფერი, თუნდაც ჩვენი სამშობლოს ისტორიული ბედუკუღმართობის გამო არ შეიძლება არ შეინუფებინა ისეთი უზარმაზარი ურდულიცაა და დიდი ტრადიციის პიროვნება, როგორც ნიკოლოზ გაბაონი (ვალერიან გაბაშვილი) გახლდათ. თავისთავად ის ფაქტი, რომ რომანი „აიგინიანი ქალაქი“ ახალგაზრდობაში დანერვილი და ცხოვრების ბოლო წლებში გამომქვეყნებული, არა მხოლოდ გაოცებას იწვევს, არამედ მის სულგრძობასა და სიძლიერეზე მიუთითებს.

თავს უფლებას ვაძლევ ნარმოვდგინო: ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ იმიტომ არ მიჰკარებთა წასაკითხად საკუთარ რომანს, რომ ქემპარიტი მატატურული ლირებულების ცვლაზე პიროვნულ ექსპერტს და მას დრო მიანიჭდა. და აი, ჩამოვდა ფაქტი, როცა ამ ექსპერტმა მწერალს აგრძნობინა — მის ხალხს, ქვეყანას, ქვეყნის მოაზროვნე ნაწილს რომანი „აიგინიანი ქალაქი“ უნდა ნაყობა.

თუმცა ის ფაქტიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეპოქის მდარე სულისკვეთების, ჩვენი ცხოვრების ისტორიულ-კონფესიური რიტმის, პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური და ზეფობრივი ბექგაუნდის გამო ჩვენი გერეგრობით ვერ მოვახერხებთ ამ ქვეყანი წიგნის ლირეგურული მიღება და ახვედრდა (ამ თვალსაზრისით წიგნს მომავალი წინა აქვს).

* სიტყვა ნარმოთქმული საქართველოს მეცნიერებათა ენციკლოპედიაში გამოქვეყნდა ქართული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გაბაშვილის დახატვის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სათიბილო საღამოზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ნიმუშებითა და სამეცნიერო აღმოჩენებით მოგვრულ ხანმოკლე დღესასწაულებს ფაშიდან ფაშზე ყოველთვის ვანაყოფით და ვანაყოფით, ნამდვილ დღესასწაულებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო უპიროვნე მსახურისათვის განკუთვნილ პურსა და სანახაობასთან, გავურბივართ. მაინც უცნაური ქვეყანაა საქართველო, მაინც უცნაური ქალაქია თბილისი.

ახალი თაობის მოაზროვნე ნაწილს თავისუფლად შეუძლია იკითხოს, როგორ მოახერხა თბილისმა და როგორ გადაუმალა საქართველოს ბრწყინვალე პოეტები ესპანიაში, დავით ნერედიანი, ანდა ისეთი ფანტასტიკური მწერალი, ერთადერთი წიგნის („ზაზაბარში მოხედრული ბჭის ამბავი“) ავტორი ლევან ბოლქვაძე, დივერსიული მწერალი ნიკოლოზ გაბაონი...“

მიუხედავად საკმაოდ იდილიური, ეტიკული ერთგვარად გამკრული სათაურისა, რომელიც ჩვენს ნარმოსახეაში უთოდ დამოძღვრული ფერწერი კარლოსტომით აღსავსე სურათებს ძველი თბილისისას, აიგინიანი ქალაქის“ სამოქმედო სივრცე უაღრესად მასშტაბურია. ამ რომანში მთელი სისასით „ფულს და გადმოვლს“ (ეს სიტყვები რეფრენად გასდევს ოთარ ჭლადის შესანიშნავ რომანს „კინის თვარტი“, რომელიც ამავე პერიოდის საქართველოს ტეხება) არა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის, სრულიად საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის დამუხტული, სისხლსავსე ცხოვრება. უფრო მეტიც — ევროპული ქალაქების საღონებით, ევროპულ ინტელექტუალთა თუ ქართველ ემიგრანტთა მიზნობად და ინტერესებით, დიპლომატიებით, ელჩებით, ჩინოვნიკებით ხელისგულზე და მგვს მაშინდელი შოაფლიოს მაჯისთვის. ამიტომ ძალიან მიმეხივლიანია საკითხის სწორედ ასე დასმას — რომანი „აიგინიანი ქალაქი“ არა მარტო XX საუკუნის ქართული რომანის არეალში მოიაზრება, არამედ თავისი მასშტაბებით, თვალსაზრისით, მსოფლმშვედველობითა და, რაც ყველაზე მთავარია, მალამზხატურულობის გამო ჩვენი 1500-წლიანი ქართული ლიტერატურის კონტექსტში იჭერს ღირსეულ ადგილს. და საერთოდ, პირველი ქართული რომანის გიორგი მერწყულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებებიდან“ მოყოლებული, ვიდრე ჩვენი კლასიკოსების მიერ შექმნილი რომანების რიგში ღირსეულად წერება.

ელასტიკური, მდიდარი, ნოყიერი ქართული დანერვილი ეს რომანი, თავისი აღმოსავლურ-დასავლური კილოკუებით, მაშინდელი ქალაქური ფარგონით, მდამობრია და არისტოკრატთა ენით, მეტყველებით, აზიური და ევროპული პრობლემებითა და, რაც მთავარია, მოვლენების და პროცესების წინასწარჭერებითა და ანალიზით, დღეს საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომ, პირადად ჩემთვის, სრულიად ახალგაზრდა კაცის მიერ დანერვილ ამ რომანის ნაკითხვის მეორე (მანანა გაბაშვილმა აღნიშნა, რომ რომანის წერა სკოლაში დაუსწავა ვალერიან გაბაშვილს) აღარაა გასაკვირი 26 წლის ასაკში თომას მანის მიერ შექმნილი „პუდენზიარესის“, როგორც ლიტერატურული გმირობის ფაქტის აღსებობა.

როცა ქემპარიტი ხელოვნების ნიმუშს კითხულობ, არ უნდა იგრძნობოდეს, მწერალი რომელი სოციალური ფენის, კლასის წარმომადგენელია. თუ ეს იგრძნობა, ამ პრო-



ვინციალიზმთან გვაქვს საქმე ან სნობიზმთან. უბრალოდ უნდა ჩანდეს „მოაზროვნე გული“, რომლითაც მწერალს უყვარს და ენაზეა ადამიანი. იცის ადამიანი, მაგრამ მაინც უყვარს...

უსასრულოდ შეიძლება ამ მრავალმრიან, მრავალპერსონაჟიან, პოლიფონურ, ერთი შეხედვით სადად და გამაქტირებლად დანეროლი რომანის შესახებ საუბარი... მაგრამ დროის მოგების თვალსაზრისით, ხალხსტრაციოდ უფრო იმ მომენტებს გამოვყოფ, რომელშიც ასე კარგად ჩანს საბედისწერო ნრეში ტრიალი, პეველი „ცუდ უსასრულობას“ რომ უწოდებდა და ასეთი აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვისაც.

როცა თანდათან იხატება როგორ იცვლება პეიზაჟი, ქალაქის იერსახე, რომლის ფანტასტიკურ ბალებსა და პარკებში გამდიდრებული სოფეადარები თუ გაახანურებული მდამბიები როგორ ჩეხვენ ტყეებს, ასწლოვან ხეებს, რათა თავიანთი სახლები აიგონ; როცა თვალს ადევნებ, გვარსახულ-მეცვლილი ზანდაროვი თუ სხვა მისი მსგავსი, ერთდროულად როგორ ინათლება ტერტერას მიერ სომხურ ეკლესიაში, პადრეს მიერ კათოლიკურში და მოძღვრის მიერ მართლმადიდებლურ ტაძარში და შესაბამისად სომხურ, ფრანგულ და ქართულ სახლებს იქმევეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეს ასე სჭირდება; როცა ხედავ ქართველი ზანდაროვი როგორ ეკვრება სომეხ ვიკრიკოსს, რათა ამ გაერთიანებულ, პირად მოგებასთან ერთად, შეასრულოს რუსეთის იმპერიის დაკვეთა, რომ არ ჩამოყალიბდეს ეროვნული ბურჟუაზია... ძალაუნებურად დღევანდელი საქართველო გახსენდება, დღევანდელი თბილისი, გაქველცავენული, ყოველმხრივ დაუცველი მოსახლეობით, რომლის რწმენასაც კალიბრებით შეუსიეს ათასგვარი ჯურისა და მიზნების მქონე სეტყებით, თავისი მზიანებებით, ე.წ. ასტროლოგიებით, ექსტრასენსუებითა და ნათელმხილველთა კომიკური პერსონაჟებით;

როცა ხედავ ემიგრაციიდან როგორ ბრუნდება გულანთებელი ვახტანგ ტაშირჯიანი, რათა თავისი ცოდნითა და გამოცდილებით გამოადგეს სამშობლოს, როცა სულიერ და ინტელექტუალურ უღამინოდ ცეტულ ქვეყანაში თავს არ ზოგავს, რომ როგორც ერთადერთი ქართული გახუთი მაინც დააარსოს, ამაჰს კი ვერ ახერხებს მდიდარი ქართველების სიძუნისა და გულგრილობის გამო, რა თქმა უნდა დღეს გამდიდრებულ ე.წ. ბიზნესმენთა წყება გახსენდება, თითოორულა გამონაკლისის გარდა, არაფერისმიცემებ, უაზრო და ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდობის გადამგვარებელ პეროვნებს რომ აფინანსებენ და ანონიმურ შეკეთებებს ასრულებენ;

როდესაც მეგადა ვოსტაშიბიშვილი დავით სავარსამიძის დღიურში ამოკითხავს: „თეთი განათლებულ ევროპაში ბევრი ისეთ რასებს ენაბულობთ და ვამწინეთ, რაც ჩვენი უკეთესი მოგების რწმენას გვიკარგავს“, ვგრწმობთ, რა სიფრთხილეს იჩენს რომანის ახალგაზრდა ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მომავლეს და მის უსაფრთხოებას ევროპასთან კავშირში ხედავს;

როდესაც ვკითხულობთ მე-19 საუკუნის დროინდელ თბილისში მყოფი ინგლისელის სიტყვებს, რომელსაც პრავდატულად აქვს გაეწმობიერებული საქართველოს მნიშვნელობა: „ლამაზია საქართველო, მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ იმიტომაც ლამაზია, რომ საუკეთესო ხიდია, რომელზეც ინგლისური საქონლით დატვირთული ქარავნები გაივლიან... ჩვენ, ინგლისელებს მხოლოდ გზა გვეჭირდება, ოღონდ გზის გახსნერი, მის ორივე მხარეს სიღარიბე და სიხუნვე უნდა სუფუდეს, რათა ლონდონში კარგად და მდიდრულად იცხოვრონ... ამ აიზზე ჩვენს მამამდიდარი გამოქვეყნებული ერთი უცხოელი სტუმრის ოცნება ამოტივტივდება — საქართველო ისეთი გემრიელი ტორტია, თითო ნაჭერო ვეფლას უნდა შეგვხედესო. დაბოლოს, ისეც ვახტანგ ტაშირჯიანის სიტყვები: „თუ ქვეყნის აღორძინებას საქუთარი ნიდავჯი არც აქვს, იმას უტუო ძალი, მაღონაც უნდა მოინდომოს, ევროპურს უშველის... განათლებულ და დანიშნულ ევროპასთან დაახლოება უზრუნველყოფს ქვეყნის ნიშნავას, თორემ ქართველებს არც ისტორიული გამოცდილება გვაკლია, არც ნიჭი და არც უნარი“.



ვაღერიან ვახაგვილი (30-იანი წლები)

ამასთან დაკავშირებით ჩვენი პიროვნულად გაუენებელიყოფილი გლობალისტები, ე.წ. მსოფლიო მოქალაქეები მახსენდება, რომლებიც საქუთარი უტყნის, მადისა და ცოდვეების მოქალაქეები და მწიკლები არიან. და კიდევ ერთი მომენტო, რაც პირადად მე უშთაფრესი მგონია, რისთვისაც მგონია რომ დაინერა ეს რომანი:

„აფინანი ქალაქს“ პირველივე გვერდებზე შურისძიებით ანთებული იოსები ცოდვას ჩაიდენს, მისი საცოლის გამაბახებელ ბატონს მოკლავს და ქალაქში გამოიქვევა. როცა რამდენიმე თვის შემდეგ ამ წვერმოშუკულა, პრე გლახას მიმშლითა და სიცივით გული ნუჯა და გონებას დაკარგავს, პირველივე ხილვა, რაც ქუჩაში უპატრონოდ მიგდებულის დაბინდულ გონებას გაანათებს, არის ნიშნავი გამოჩენა სურწნელოვანი პურისა და ჭურჭლის სასეც ნითელი მტეცნისა.

ამას არც შეიძლება სიმბოლო დავარქვამო. იმდენად ბუნებრივად, ყოველგვარი კონების ჩარევის გარეშე გაცხადდება მთელი რომანის უშთაფრესი და უპირველესი სათქმელი: საშინილი და საცოდავია ცოდვით დაცემული ადამიანი და მთელი მისი ცხოვრება სურველია წამოადგო-



მისა, ნელში გამართვისა. მაგრამ როცა ეს ნაშობდგომა სინანულის, აღსარებისა და ზიარების გარეშე ხდება, ანუ ქრისტეს ხორციითა და სისხლით, ევქარისტული პურითა და ლენით ზიარების გარეშე, მთელი ცხოვრება ერთ დიდ კომპარად, ჯოჯოხეთად იქცევა. რომანში გაქრნილი ეს პირველი ხილვა ფინალში იხსნება, როცა ზანდაროვად ქცეული გამაიდრებელი გლახა მეუღლეს გაუმშელს, თუ ვის გვერდით (მისი მამის მკვლელის) ცხოვრობდა ამდენხანს. ოღონდ ეს გამშელა-აღსარება შურისძიება უფროა, ვიდრე გულწრფელი სინანული.

ამ ცოდვის მეტ-ნაკლები მატარებელი რომანის თითქმის ყველა პერსონაჟია, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში ჩვენ ყველანი.

2001 წელს მანანა გაბაშვილი დაბრუნდა: მამის სიკვდილმა სახტად დაძვრა. ეს არ იყო მხოლოდ პირადი ტრაგედია. ეს იყო ვაგონებაც — ამხელა საწყაროს, ინტელექტის და ცოდნის ასე უბრალოდ წასვლის გამო. დარგადან მიდღერი და ჯერჯერობისკაცებს ვეცადეთ, მხედართმთავრისა და გენის მიმცემის გარეშე რომ რჩება. მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა და ჩემში, როგორც თავის დროზე მამების თაობაში, კვლავ თაობის ინსტრუქტი ამოირავდა. ახლა უკვე ჩვენ უნდა გვეზიდა მხრებში წინაპრების ტვირი.

1991 წელს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ვანერდი ხელს, მე ეს ყველა ქუშიშარატი და სამომბოლსაიების განწირული ქართველის სახელით გავაკეთეთ. ამ დღეს ჩემთვის კიდევ ერთი დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. 9 აპრილი მამაჩემის დაბადების დღეც არის, რაც ყოველ წელს დიდი ზარზეებით და სიხარულით აღინიშნებოდა ჩვენს ოჯახში და ვინ იცოდა მაშინ, რომ წლების შემდეგ, ამ დღეს იმ ოცნებას შეესხმებოდა ფრთები, რაზეც თაობები ოცნებდებოდნენ და რასაც ვალერიან გაბაშვილი მთელი ცხოვრება გულში ატარებდა.

ქარგი იქნება თუ ფაშლიარობაში არ ჩამოვიერთოყვა ამ აკადემიურ თავყრილობაზე და მინდა მადლობა ვუთხრა პირადი მანანა გაბაშვილს, „აივინიანი ქალაქი“ ძვირფასი გამოცემით ქართულ ლიტერატურულ სამყაროს რომ დაუბრუნა; მადლობა იმის გამოც, რომ ასე დიროსულად, სუფთად და უაგაგოდ გაუღოთ ამ წლებს... წლებს, რომელიც სავეს იყო სიხარულით, აღმაფრენით, ტრაგიზმით, ნიწრად სასონარკვეთითაც...

როგორც მის გენს, როგორც ლეთისა და მოყვანის მოყვარე ქუშიშარატი არისტოკრატისა სწევდა, არასოდეს დაცემულა სულით, შუამდ მწნე და სამართლიანია მანანა გაბაშვილი, შუამდ ნამდვილი საქმით დაგაცემული. დიდი ინტერესით ნაკვირვალს მის ბოლო წლების არაქვეყნულბრივი გამოკვლევებით: „რატომ გადმოიტანეს ამომსავლეთის კათოლიკური ცენტრი თბილისში?“ „თამარ მეფის სახელგანთქმული ისტორიები“, „თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა“... და დარწმუნებულ ვარ, სხვებთან ერთად არა მხოლოდ მე, ქარგი მკითხველი ვამაყობ მისით, არამედ მჭერა, რომ ამაყი და ბედნიერია ვალერიან გაბაშვილის სულიც. ამ დიდმა მოღვაწემ ხომ დასადგენებელ სამეცნიერო და შემოქმედებით მემკვიდრეობასთან ერთად ასეთი შილები, ასეთი საწყალო მემკვიდრეებიც დაუტოვა საქართველოს.

გონა ჯაფარიძე

იყვანე ქართველები ნავოლონის არმიას?

(გამომხატულება მირბა კალანდაძის სტატიიდან)

რა თქმა უნდა, იყენენ! მაგრამ, უეცრელება, — არა ისინი, რომლებიც წარმოდგენილი არიან 2009 წლის 31 აგვისტოს „კვირის პალიტრამ“ ეთერ ერასის წერილსა და შემდეგ მიმდინარე წლის 18 თებერვალს „ზენი მწერლობის“ ფურცლებზე მერბ კალანდაძის სტატიამ გამოცვეცებულ სურათზე. ნავოლონის არმიამ ქართველები მცირერიცობაში ვეჭვფის ყოფნა არის არა აღბათობა (მ. კალანდაძე), არამედ რეალობა. ის უკავშირდება ევგებტემი ნავოლონი ზონაპრტის სამხედრო ექსპედიციას, რომელიც დაიწყო 1798 წლის ზაფხულში და მიმართული იყო ევგებტის მამლუქთა წინააღმდეგ.

ნავოლონმა, მართალია, 21 ივლისს გაიმარჯვა მამლუქებთან გენერალურ ბრძოლაში, რომელსაც „პირამიდებთან ბრძოლა“ უწოდებენ, მაგრამ მეტი გატება მათი წინააღმდეგობა. მამლუქთა ერთ-ერთი მეთური წარმოშობის ქართველი მურად ბეგი გადავიდა ზემო ევგებტეში, ხოლო შეის აღ-პალად იბრძობ მზეგი (მინჯუკაძელი) — სირიში, და ვანაძრეს ბრძოლა ფრანგების წინააღმდეგ. ნავოლონმა კარავ დაიკავა, მაგრამ მალე ეითარება დრამატულად შეიცვალა. 1798 წლის 1-2 აგვისტოს აბუკირის ყურეში იმგლისის ესკადრამ აღმოდ დაიწყო ხელმძღვანელობით კაპანაზდგურა ფრანგების ფლოტი. ფლოტის დაეკრვესთან ერთად ფრანგების სახმელეთო არმია ევგებტეში მოხდა მეტროპოლიას და დაიწრვა მისი მომარაგება. ბრძოლებში ნავოლონის აღმოსავლეთის არმია თხელდებოდა და ამ პირობებში, 1798 წლის სექტემბრადმ, ნავოლონმა მალიო გადამეცეტილება შეეცა ის ევგებტეში მცხოვრები სხვადასხვა ერეგების წარმოდგენილებით, მათ შორის ახალაზრდა მამლუქებით. მათგან ჩამოყალიბდა დამხმარე სამხედრო კორპუსები, რომლებიც მალე ჩაეხნენ ბრძოლებში მამლუქი ბეგების წინააღმდეგ.

1799 წლის 23 აგვისტოს ნავოლონმა აღმოსავლეთის არმია გენერალ კლებერს გადააბარა და დაბრუნდა საფრანგეთში, სადაც ხელი ილო ძალაუფლება. მან კლებერი დაუტოვა ინსტრუქცია, თუ როგორ შეეცა ამოის დამხმარე კორპუსი და როგორ გადაეყვანა ისინი ევკავის შემოხვევაზე ევგებტედან საფრანგეთში. 1800 წლის 14 ივნისს კლებერი მოკლეს და ნავოლონის მითითება განმოხორციელა მისმა შემცველმა გენერალმა მენუსმ. 1801 წლის 30 აგვისტოს ალექსანდრიაში მან კაპიტულაცია გამოაცხადა ინგლისელებსა და თურქების სამხედრო ხელისუფალთა წინაშე. კაპიტულაციის V, VIII და X პუნქტები აწლებდა მენუს შესაძლებლობას, დაემტკიცებოდა ნაყევანა საფრანგეთში ფრანგული ხომალდებით არმარტო ფრანგული შუნებრიები, არამედ აღმოსავლეთის არმიის დახმარე კორპუსები და ევგებტეში მცხოვრები



სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, რომლებიც თანამშრომლობდნენ ფრანგებთან და აღარ სურდათ ეგვიპტელები დარჩენილ სულ ტულუნში წავიდა ეგვიპტელან ემიგრირებული 870 პირი ოჯახებით, რომლებიც განასახლეს სენას და მარნას დეპარტამენტებში. აღმოსავლეთის არმიის დამხმარე კორპუსების წევრთაგან ჩამოყალიბდა პირველი სამხედრო შენაერთი. 1801 წლის 13 ოქტომბერს, ნაპოლეონს ბრძანებით, გენერალ რაბის ხელმძღვანელობით, შეიქმნა მამლუქთა ესკადრონი 240 მხედრის შემადგენლობით, რომელიც ნაპოლეონმა ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ, 1804 წლის 29 ივლისს ბრძანებით – ამპერატორის გვარში ჩართო.

თავდაპირველად მამლუქთა ესკადრონი შედგებოდა მხოლოდ ყოფილი დამხმარე კორპუსების წევრთაგან და შემდეგ მისი შევსება დაიწყო ევროპელებისაგან. მამლუქთა ესკადრონის 585-კაციანი სია გამოაცხვენა ფრანგმა მკვლევარმა ეან სავანამ ნიგმატ "ნაპოლეონის მამლუქები", რომელიც 1949 წლის გამოცემა პარიზში (გვ. 440-479). სწორედ ამ სიაში არიან დასახელებული ქართველები და საქართველოდან გამოსული სომეხი მამლუქები. შემდეგ მ. დებრიერმა ფუნაალში "ბუდი ქარაოლისა" 1979 და 1982 წლებში გამოაქვეყნა სიები ამ ქართველი და სომეხი მამლუქებისა. მან დაასახელა 11 ქართველი და 20 სომეხი მამლუქი. მაგრამ აშკარაა, რომ ქართველთა რიცხვი გაზრდილია საქართველოდან მკვიდრი სომეხების ჩარევზე და არ აღემატება რვას. ქართველ მამლუქთა სიაში დებრიერმა შეიტანა ნაპოლეონის ცნობილი მამლუქი და მისი მცველი რუსტამი.

შერბა კლანდად ქართველთა და აღნიშნავს, რომ რუსტამი ეთნიკურად სომეხი იყო. რუსტამს ღ. ფლეიშმანი ქართველად აცხადებდა და ასე მიაჩნდათ ჩვენშიც. ის ხან არბევს ოქლიანის დედადმილი იყო (მიხეილ ჯავახიშვილი), ხან გვარად ხონამაშვილი (მ. ვაფთხოვსკი) და ხანაც – რაზმაზე. ამ უკანასკნელი გვარით შევიდა ის ქართულ საბჭოთა დიქციონარებში (ვ. გორანსკი). ეს მიუხედავად იმისა, რომ უკვე გამოქვეყნული იყო რუსტამის მემუარები ფრანგულად და 1957 წელს მისი სომხური წარმომავლობა აღნიშნა გიორგი ბეი-მამიკონიანმა (მნათობი, 1957, 9), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მამლუქთა ისტორიის შესწავლას საქართველოში. საქმიად დამწერლებით რუსტამის შესახებ მასალები 1998 წელს გამოაქვეყნა კონსტანტინე კოტურაქიძემ (გაზ. "სუბოტანია გურჯია", 27.09). რუსტამის მემუარები დიდი ხანია ნათარგმნია რუსულად და მალე გამოიცემა ქართულადაც.

რუსტამი, რომელიც დაიბადა თბილისში და ცუდად ფლობდა ქართულს, ამჟამად თავის სომხური წარმომოთი. იგი წერდა: "იმისთვის, რომ ჰყოფდით კარგი მამლუქები, [ეგვიპტელი ბებები] არ ვიცი რატომ, ამჟამინებენ ქართველებსა და მებრელებს, მაშინ როცა სომეხი უფრო მამლუქი არიან ხედა ხალხებითა შედარებით". ასე აღწერიდა რუსტამი, მაგრამ იმ დროს, როცა სიმამაცე უაღრესად ფასობდა, XVIII საუკუნის ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიაში,

მითუმეტეს ამ ქვეყნის მმართველთა შორის, ქართველები მისგან განსხვავებით, არცერთი სომეხი არ გვევლინება.

ქართველ მამლუქთა სიაში დებრიერმა შეიტანა მამლუქი შაჰინი, დაზადებული 1776 წლის 14 ივლისს თბილისში. გ. ბეი მამიკონიანის თანხმად, ეთნიკურად ისიც სომეხი იყო, მაგრამ მას არ დუასახელებია სათანადო წვარო. სომეხად მიიჩნევნ მას თანამედროვე სომეხი მკვლევრებიც რამე საბუთის გარეშე და მიუთითებენ მის გავსაც: "შაჰინიან". "შაჰინ", უფრო სწორედ "შაჰინ" არაბულად შევარდენს ნიშნავს, ის ამ მამლუქთათვის ეგვიპტეში შერქმეული სახელია და მის სომხურ წარმომავლობას სრულიადაც არ ნიშნავს. ვიდრე მისი სომეხობის მტკიცე საბუთი არ გავაჩნია, მე მას ქართველად განვიხილავ.

შაჰინი ერთ-ერთი პირველია, რომელიც აღმოსავლეთის არმიის ხსენებულ დამხმარე კორპუსში ჩაირიცხა. ის უფრო შინაშენილად ფიგურად მჩვენდება, როგორც მამაივი და ერთ-გული ჯარისკაცი, ვიდრე ეგზოტიკური რუსულტამი, რომელმაც ელბაზე გადასახლებულ ნაპოლეონს უყანა.

1799 წლის ივნისში შაჰინი მონაწილეობდა ჰელიოპოლისის ბრძოლაში მამლუქი ბებების წინააღმდეგ გენერალ კლემერის ხელმძღვანელობით და მიიღო 35 ჭრილობა, ხმლი და მუთი – 33 და ტყვეთი – 2. ის ცოცხალდგადარი გამოტანეს ბრძოლის ველდან. შაჰინმა თავი გამოიჩინა აუსტრალიის ბრძოლაში, სადაც გადაარჩინა გენერალი რაბი და კიდევ სამეგრე დაჭრა ტყვეთი. მას მიენიჭა საპატიო ლეგიონის კავალერის ორდენი, შემდეგ კი ოფიცრის უჯვარი 1807 წელს იტალიასთან, სადაც მოუკლეს ცხენი და ისევ სამეგრე დაიჭრა. მონაწილეობდა ესპანეთისა და სხვა ჯვლა მნიშვნელოვან სამხედრო კამპანიაში, რომელთაც ხელმძღვანელობდა ნაპოლეონი. 1813 წელს განბა კაპიტანი.

ნი. მისი გარდაცვალების თარიღი ჩემთვის უცნობია.

ნაპოლეონის ქართველ მამლუქებთან კიდევ ორი: შაჰანი სამეგრელოდან (დაიბადა 1785 წლის 26 იანვარს) და შაჰანი ნიადალიდან ნაპოლეონის სამხედრო კამპანიაში რუსეთის წინააღმდეგ. შაჰანი გადადგა 1814 წლის 4 ოქტომბერს და ვატერლოოს ბრძოლის (1815 წლის 18 ივნისი) შემდეგ მსაზღვრობდა პარიზის საქალაქო ენადარბრითი 1830 წლამდე. შაჰანი ნია დაიკარგა ფრანგების უკანდრბრითი დროს 1812 წლის 27 ნოემბერს (გ. სავანი), ან შეიძლება რუსებმა ტყვედ აიყვანეს ბორისოვისთან 30 ნოემბერს (რ. პავლი).

ამრიგად, ნაპოლეონის მამლუქთა ესკადრონიში მცირე რაოდენობით, მაგრამ მინც, იყვნენ ქართველებიც. მათი სიმცირე აიხსენა იმით, რომ ეგვიპტეში მთელ ქართველ მამლუქთა მემეტსობა ერთგული დარჩა თავიანთი პატრონების – მამლუქი ბებებისა, რომლებიც ვადაცობდნენ ბრძოლას ფრანგების წინააღმდეგ. ბებური განაღდა შაჰი-ოლის ველზე, ზოგი შეენიარა შავი ჭირის ეპიდემიას, ბევრიც გაფლტყა 1811 წელს შუამკად აღი-ფაშას ბრძანებით კაირის ციხედადში, კაირისა და ეგვიპტის პროვინციებში; გადაარჩენილებმა თავი შეაფარეს სუდანს და იქ დაასრულეს ცხოვრება სამშობლოდან შორს.





თამარ მინაშვილი

„განაგდა შიში მოგავლის წინაშე!“



— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უიმედობა, სასონარკვეთი-ლება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ყოველთვის საქართველოში!

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— საკუთარი თავის პოვნა!

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ალუდა ქეთელაური, იოსებ მშვენიერი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი, თამარი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფროსმანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ედუარდ გრიგი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ქალისადმი ერთგულებას და საქმისადმი თავგანწირვას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გარეგნულ მიმზიდველობას, სათნოებას და ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

— მიმტკეპლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— სულის სარგო ნივნების კითხვა.

— თქვენთვის წაკითხვა რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— მსგავსი სურვილი არ მქონია.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მომთმენობა

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, გამტანობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მიჭირს გადაწყვეტილების მიღება.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ჭეშმარიტად თავისუფალ სამშობლოში მშვიდი და საყვარელი მემოქმედებითი ცხოვრება!

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ღმერთის დაკარგვა საკუთარ თავში.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— თავდაჯერებული და პირდაპირი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყველა ფერი საყვარელია თუ მას სიხარული და სიხალისე მოაქვს.

— ყველი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყველა ყველი საყვარელია, მაგრამ ეარდი შინც ყველითა დედოფალია!

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— თეთრი მტრედი.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— გალაკტიონი, მარინა ცვეტაევა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— თომას მანი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი კაცები?

— ალუდა ქეთელაური.

— საყვარელი გმირი კაცი ისტორიაში?

— ცოლზე დადიანი, თედორე მღვდელი.

— საყვარელი სახელი?

— დავითი, თამარი.

— რას ვერიტანთ ყველაზე მეტად?

— უნებრისყოფობას, ზედპირულობას საქმეში და ურთიერთობაში.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— შადიმანი და შადიმანები.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი შეტაკებები ალტაცებისა?

— ბასიანის ბრძოლა, დიდგორის ომი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ყველა ის რეფორმა, რომელიც პროგრესულია და პირველ რიგში ამაღლებს უნებს ეროვნულ ტრადიციებს და ეროვნულ თავისებურებებს.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ენების შესწავლის ნიჭი

— როგორი გინდობდათ რომ მომკვდარიყავით?

— ადამიანი რომ დანაწილდათ ჩემთან განმორება

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ვისწრაფი განწინასწარუბულობისკენ

— თქვენი ღვიზი?

— განავად შიში მომავლის წინაშე!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— დარჩი ჩემთან!



როსტომ ჩხეიძემ დაასრულა მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „ორი მიწიანის შესაყარებლად [ვარაუდობი „ჩემი საყვინის“ თემაზე]“, რომელიც წარმოადგენს თავისებურ გაგრძელებას მისივე ბიოგრაფიული რომანისა „ავეისტოს შეილება“, და ამავე დროს დამოუკიდებელი თხზულებაა. გთავაზობთ ერთ თავს ნივნიდან, რომელიც წლის ბოლომდე ვამოიცვამ.

როსტომ ჩხეიძე

ლუარსაბ თათქარიძის საზოგადოება

ვახშმასაც, როგორც ყველაფერს ამ ნუთისოფელში, პოლი რომ მივლემოდა, ვამბდარსა და ტახტზე გადავფორებულ ლუარსაბ თათქარიძეს ახლა ხვალისათვის უნდა დაენყო ზრუნვა, როგორც თვახის კაცს შემფერის: ხვალ რაღა ექნაოთო.

და დარეჯანი მოსვ გრძელადის ასული და ამის ასე შესაფერისი თანამეცხედრე, ისე ჩაფიქრდებოდა, ვითომც და ძნელი და გამოსარკვევი საქმე მიწნდოთ მისთვის: ხვალ? დაიჯო ერთი მოვიგონო... ხვალ? არტალაზედ როგორა ხარო?

და აღტაცდებოდა და რას აღტაცდებოდა მუსუნგასა ვით სულწაფლი თავადი:

— უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე, არტალაზედ? ვაცვითა ვარ, ვაცვით. ბარაქალა, დარეჯანი! ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თვდოს მოხარული, ნივრით, — ერთ სახელმწიფოა პოლის, შე და ჩემმა დმერთმა. ეგ ძალიან კარგი.

ღიალივი გრძელდება ასეითვე გროტესკული მანერით, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგროფლის“ კულინარიულ პასაჟებს ოდნავადაც რომ არ ჩამოევიარდება არც იუმორის სიღლით, არც მახვილგონიერებისა და ფანტაზიის დაუსრეტლობით და არც ექსპრესიით, მაგრამ ამჯერად ეს ამოწარინი ვიქმაროთ, რაკილა აქ გაისმის ის ფრანუზები, რაც გორის ინსტიტუტის ლექტორთა ერთ ნრეში თავისებურ პაროლად თუ დევიზად დამკვიდრდებოდა. ჯერ აქ და თანდათან უფრო შორსაც გადავივლიოთ.

დამკვიდრების თაოსანი ყველას ახსოვდა, თუმც ის არც ამჯერად ჩემულობდა პირველობას და დევიზის გაჩენის სათავესაც ბურუსში ჰხვევდა.

ოთარ ჩხეიძეს შემოეტანა ეს სტრუქტურები ამ წრის ცნობარებში, თავისთავად, ძალდაუტანებლად, თავიდან არავითარი ამგვარს რომ არც ფიქრობდა და უნებლიეთ მოადგებოდა ენაზე:

— არტალაზედ როგორა ხარო?

ერთხელაც ასე რომ მიმართავდა მეგობრებს სიცილილექციების დასრულების შემდეგ, ბჭობა რომ უნდა დაეწყეთ, დღეს საით უჯობდათ სუფრის ირგვლივ შემოსხდომა, ისინი პირდაპირ მიიღებდნენ ამ სიტყვებს: კარგი არტალა გვეულება სადმეო?..

გაიკონებდა ოთარ ჩხეიძე:

— ნუთუ არაფერი გავგონდებოთ?..

და კიდევ აწყებოდა სიცილით ნოდარ ალანია:

— ვაცვითა ვართ, ვაცვითა!

გარემომოყოფთაგან ზოგი რომ გაილიმება მიხედრილობის ნიშნად და ზოგიც ვაკვირებით აახამამებება თვალებს, ეს „ვაცვითა“ მიანიც რალს უნდა ნიშნადესო, ნოდარი მოკლედ მოქრინდა:

— ოღია უფრო კარგად უნდა გვახსოვდეს!..

მეარტალავთა საზოგადოება ხომ არ ჩამოგვეყალიბებინაო, — ამას უკვე მაშინ შესთავაზებდა ოთარ ჩხეიძე თანამეგობრებს, მტკერის ძველი ხიდის მიდამოებში მდებარე ნახევარსარდაფში რომ შემოუსხდებოდნენ სუფრას.

ჰოი, რას აღტაცდებოდნენ: ეს რა კარგი რამ მოგიფიქრებია და ეს რა კარგი რამ მოგიფიქრებიაო!..

საზოგადოება, ცხადია, კარლია ვერ იქნებოდა და ნეერები გულდასმით უნდა შეერჩიათ და შემოეკრიბათ. ლუარსაბის სახელით უნდა დაეწყოთ და ლუარსაბის სახელითვე გაესრულებინათ თვითთული ასეთი სერობა, ხალხით დაეწყოთ და ხალხითვე დაეგვირგვინებინათ.

განდობილთა თავისებურ წრედ წარმოადგებოდა. არტისტულ-ბოქსმურ გუნდად.

რესტორან „ქართლი“ ნაირნაირი ხალხი რომ ირეოდა, ესენი ამიტომაც გარიდებოდნენ იქაურობას და მყოფო ადგილის ძებნაში კი ეს ნახევარსარდაფი აღმოეჩინათ, პატარა სასაუზმე. აღმოჩენდნენ და კიდევ შეეჩვიოდნენ. ოღონდ ეს მოილოდ მისი სიმყუდროვის გამო არ უნდა ყოფილიყო. საამისოდ ოთარ ჩხეიძეს ერთი მიზეზიც ჰქონდა:

— „როტონდაც“ სადღაც აქ უნდა ყოფილიყო, — ეს გორის „როტონდა“.

რას დავიხსენებო?

რას და:

იმ ისტორიულ შენობას, რომლის გარემეც წარმოუდგენელი გახლდეთ XIX საუკუნის გორი, რაკილა ის მოექცეოდა ქალაქის კულტურული ცხოვრების შუაგულში.

— მაშრის უფროსმა რევაზ ერისთავმა გაამართინა ხის დიდი როტონდა, რომელსაც სამ კუთხივ განიერი ბალონიე შექნა და და სამივე შირი ამოსავალი. როტონდა იდგა მტკერის პირას, ბალონიეც მტკერისაკენ ჰქონდა.

ამას სოფრომ მგალობლიშვილის შემუარებში ამოიკითხათ.

სოლომონ ხუციშვილი ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ თუ სხვა ცნობებს, რათა ან გამჭრალი შემობის კვალისათვის მიეგნო და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებაც წარმოესახა, როგორც გორის ისტორიის ერ-





თი კოლორიტული ადგილისა, რომლის მივინწყებაც არ ეგონოდა.

ამ ინტერესსა და ძიების ჟინს, როგორც საერთოდაც სხვაგვარადა, სხვათაც გადასდებდა.

და ნინამდობლივია, რომ აღმანახ „მერანის“ 1960 წლის გამოქვეყნებულ საგანგებო სტატიაში მივხვდებით როტონდას — ილია ბერძენიშვილის, და მკითხველი ყველა იმ ცნობას ამოვიკითხავდა, რისი შეგრძობაც საიმედოოდ მოხერხებდებოდა. ასეა თუ ისე, მკაფიო წარმოდგენა შეეძენებოდა ამ ისტორიულ შენობაზე, რომელიც ერთი დიდი დარბაზისა და სამი პატარა ოთახისაგან შედგებოდა, დარბაზი ვანუთუნული იყო საცეკვაოდ, ორი ოთახი — ბანქოს სათამაშოდ, ერთი — ქალების მოსართავად, ხშირად იზარტოვდა ნადიმებზე, ცეკვის საღამოებიც, მეჯლისებზეც და კონცერტებზეც, და არანაკლებ ხშირად — თეატრალური წარმოდგენებიც.

1873 წელს სცენისმოყვარეთა ნრეც შეიქმნებოდა. შიო დავითაშვილი გვაძენობდა, რომ ამ ნრეცში მონაწილეობდნენ სოფრომ მგალობლიძეძილი და მისი შეუღლები ნინო, თვითონ შიო და მისი შეუღლები ქეთევანი. ჩამოთვლილია ა. თუთიაშვილი, შ. გულუბანიძე, ლ. ჟორდანიანი, მ. ბურჯანაძე, და განსაკუთრებით საგულბისმყოფელად, რომ ამ პირველად გამოსულიყვნენ სცენაზე ნატო ვახუთია-ცაგარელი და ბაბო კორინთიელი-იყვინძე.

1874 წელს როტონდიში წარმოადგინდა სცენისმოყვარულთა დასი გიორგი ერისთავის კომედიის „ქუნია“.

გაზეთი „დროება“ კვებით მოისხენივდა აქტიურთა თამაშს, შემოსახლდა კი, შიო თუთიაშვილს, ნრის წევრთა მიერ დაშვებულ საზარელთა დასახმარებლად გაიჯახებოდა.

ღარიბ ქართველ სტუდენტთა დასახმარებლადაც გაიჩინებდნენ, 1875 წლის აგვისტოში რომ წარმოადგინებინ, „ალბად ექიმისა“ და „უჩინებლის ქუხს“, 1877 წლის 3 მარტს კი დაიდგმოდა ზურაბ ანტონოვის ორმოქმედებიანი კომედია „ქმარი ხუთი ცოლისა“.

ბაღში ყოველ ხუთშაბათს მუსიკა უკრავდა, კვირაობით კი ცეკვის საღამოები იმართებოდა.

გორი ტფილისიდან ჩამოტანილი ჟურნალ-გაზეთებით რომ არ იქნებოდა გადაცემული, იოლად მიხვდებით, მაგრამ ვერც წარმოიდგენთ, ვიქცხებთ, გაზეთი „დროების“ რამდენ ნომერს ღებულობდნენ 1870 წელს როტონდის წრის წევრები?

რამდენს და... ერთადერთს!..

და ქალაქის ინტელიგენცია ხალხის გამოსატყვევებლად ქვიფოდა და ბანქოს თამაშისაგან სცენის მიმართავდა, რაკილა ჟურნალის ამ გაზეთის დაარსებამ მიუღწეველ ოცნებად აჩრებოდა გორში.

ვიდრე 1879 წლის წყალდიდობა ბაღსა და როტონდას მოშლიდა, დასამახსოვრებელი შეიქმნებოდა კომედია „ჯერ დაიხორციელ, მერე იქორწინეს“, ხოლო რადგანაც ქალაქის მმართველობას მის აღსადგენად თითოც არ გაუწინდრეია, იგებენ მარბეული გაცილებდა ამ საქმისათვის 150 მანეთსა. ა. თუთიაშვილი და ნ. დიასამიძეც შეეძვლებოდნენ და სულ მალე ალორდინეულ როტონდას კლებდა თუ თეატრად გადააკეთებდნენ.

ასე გამართებოდა გორში მცირე თეატრი სასუთარი დასით.

წარმოდგენას ყოველ კვირა ახერხებდნენ.

სახელს მალე გაითქვამდა აქაურობა და ტფილისის მუდმივი დასიც შეტყობდნენ. რეპერტუარი განიხილეს? „აყალ-მყალთა ცოლ-ქმარს შუა“, „ბნელ ოთახში“, „აქუბი“ და სხვა რჩავა სიყვარული“.

სტატოების ავტორი მონიზობდა აქუსენტი ცაგარელის მოგონებიდან ერთ პასაჟს იმ ენთუზუზმის, სიხარულისა და მზრუნველობის ნათელსაყოფად, გორელი მსურველები რასაც იჩენდა დედაქალაქელი მსახიობებისადმი:

— სტუდენტები გორში თითქმის ერთ კვირას დარჩნენ. ყოველ ღამე მთელი დასი ხან ა. თუთიაშვილის, ხან ნ. დიასამიძის ბინაზე იყვნენ ვახშმად და ღამის გასათენებლად. თბილისის დასი გორიდან ქუთაისს გაემგზავრა, სადგურამდე მიეთმა ქალაქმა გააცილა ისინი.

1881 წლის 16 თებერვალს სცენისმოყვარულთა დასი აკაკი წერეთლის „კუდურ-ხანუმს“ რომ წარმოადგენდა, აკაკი ამ დადგმის სანახაზად სხვაგვარად ჩამოვიდოდა.

საგულბისმყოფელთა, რომ თურმე იგი ხშირად თვითონვე ხელმძღვანელობდა გორში თავისი პიესების დადგმებს.

1887 წლის 22 აპრილს ტფილისის დრამატული დასი როტონდაში „თამარ ციხერაც“ რომ ჩამოიტანდა, სპეტქაკელის დამთავრების შემდეგ აკაკი წერეთელს ხალხი თეატრიდან ზელით გამოიყვანდა და ისე ჩასვამდა ეტლით.

იმ ღამეს გამართულ ვახშმად დაგინდებოდა ილია ჭავჭავაძეც, ვისი სადღეგრძელოც ფეხზე ადგამოთა და მრავალგაივრის სიმღერით შესისოდა.

აქ გამართულ სპეტქაკელის უმაღლოდნენ ჟურნალ-გაზეთებისაში ინტერესის გაზრდასაც. თუ 17 წლის წინა დროს გორი „დროების“ ერთადერთი ნომრის იმედად იყო, ახლა ჯერ მარტო „ივერის“ 69 ცალი მოდიოდა.

დაამახსოვრებოდათ ალორ ალნიაშვილის მომღერალთა გუნდიც.

ასე მიატანდა როტონდა 90-იან წლებამდე.

ეს უკვე მისი აღსასრულის ფაზა იქნებოდა. წყალდიდობასა თუ ამგვარების აღარ გადაულეკავს იქაურობა, მაგრამ როგორცაც ისე იმედებოდა, რომ ბაღლიც და როტონდის შენობაც თავს ამოწონავდა და თანდათან მოიღლებოდა.

დარჩებოდა შორეული ხსენება.

კიდევ კარგი ეს მაინც.

და თუ მისი აღდგენა შეუძლებელი გახლდათ, ის მიდამოები სხვაგვარად აღანთებდა გულსა და გონებას და ოთარ ჩხვიძე მართალეთა საზოგადოებისათვის შესაფერის გარემოში რომ შეარჩევდა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა განსაკუთრებულ ცნობილობას, სადალაც ახლოს როცნობდა რომ იდგა.

სულ სხვა განცდით შესისოდა თუნდაც გორის ლიტერატურული და არტისტული ბაჰემის სადღეგრძელო. სადღეგრძელოები არ შემოიკლებოდნენ და ისეთ მოულოდნელსა და უჩვეულოსაც გამოურევდა, ხან მისამზარეულო მინიატურა თუ სულაც ნოვლა გახლდათ. და გაბეივებდა ეს სუფორული სიტუაცია იქვეადა. განწყობილებდა, სიუჟეტებდა ხან ვის ლექსში და ხან ვის მოთხრობაში, რა გგონიათ, რომანებიც მთავრებულა იმ სადღეგრძელოებით, უმრავლესად რომ ფანტაზიად ოთარ ჩხვიძე, არ ენანებოდა, რაკილა შემოულეცელი გახლდათ მისი მარაგი.



როტონდის სსივნა მიიწვ სხვაგვარად ელამუნებოდა გულს, მითუფრო — ლუარსაბ თათქარინის სახელი გასადუღა ხიდს ამ გამქრალ კერისთან, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ ამ სახით უნდა განმეორებულყო.

მაშინ როტონდა წარმოდგებოდა გორის კულტურული ცხოვრების შუაგულად და წარმეორებულად? ამგვარად ლუარსაბ თათქარინის საზოგადოებას უნდა ეთავა ეს მოვალეობა. იმჟამინდელ არტისტულ ბოპემა ამჟამინდელი არტისტული ბოპემა შენაცვლებოდა.

ჩვენ „როტონდაი“ — უკვე ყველა ასე იხსენიება ამ ნახევარსარდაფს, საოცარი ინტიმის განცდაც რომ გაუნდებოდათ და სულ უფრო გაუღვივებოდათ მის მიმართ.

მაგრამ... ერთ დღესაც გამოკტილი დახედებოდათ ის თავიანთი „როტონდაი“.

ფირნიშიც ჩამოხსნილი. და აღარც გაიხსნებოდა. რა ჩარა იყო, სხვა ადგილი უნდა მოეძებნათ, თუმც დიდი თავისმტკრევა არც დასტორდებოდა — „ჯიგარსანანი“ გადინაცვლებდნენ.

სახელს თვითონვე შურჩევენად სადგურის უბანში მდებარე ამ სასაუზმეს, რაკი-რა იქ ჯიგარს წვავენ, ამ საფარქვეშ კი ჩუმად თევზს ჰყიდდნენ, უფაქტურო საქონლად მონათლულს. და ძალიან უზაროდათ ცნობილ პიროვნებათა სტუმრობა, რადგანაც თუკი რევიზია დაესხმოდათ თავს, ესენი აუცილებლად საკუთარ თავზე აიღებდნენ: გარედან შემოვიტანეთ. მათ ფაქტორიტაც კი რევიზია ასე იოლად ვერ გადააბიჯებდა.

„ჯიგარსანი“ ერქვა თუ რაც ერქვა, თუნდ სადგურის უბანშიც კოფილიყო, ამითთვის მანც „როტონდაი“ ერქობოდა.

ვერა, ვერ გააქრობდნენ იმ კულტურული კერის სსივნას. და აგრეველდა თავის კოლორიტულსა და მრავალფეროვან შეკრებებს არტისტულ-ბოპემური საზოგადოება.

თუმორთი ეკლავდნენ გაუსაძლის საულიერ ტკივილებს, გარეგნული ხალისით სურდათ ჩაენშით მძაფრი მისწრუება საიდუმლო ორგანიზაციის შესაქმნელად. სიცილით მოგწმინდათ ცრემლი და დალოდებოდნენ უკეთეს ეამს ამ დიდ საპროტესტო მოქმედებათათვის, თორემ ჩუმ პროტესტად ესეც ითქმოდა.

ოთარ ჩხივიძის საამისოთ უპირველესად ლიტერატურული ასპარეზი შემოეფარგლა, რათა კვლავდაკვალ მიკყოლოდა საბჭოურ-მარქსისტული იდეოლოგიური სისტემის ყოველ საფუძველთა მიწოდებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სურათის სრულყოფილ წარმოსახვას, ამ იდეალის დამკვიდრებას.

— არტალახედ როგორა ხარ?
ეს სახალისო შეხიანიებაც გაბლდათ და თანამოსაუბრისაგან იმის შეტყობის სურვილიც, ირიცხებოდა თუ არა ისიც მვარტალეთა საზოგადოებაში, იყო თუ არა ლუარსაბ თათქარინის სახელით შეკრული არტისტულ-ბოპემური წრის წევრი.

— ვაცივითა ვარ, ვაცივითა!
და უკვე მოგახსენებოდა მისი განდობილობა. ხოლო თუკი თანამოსაუბრე თვით არტალახე გამოთქვამდა აზრს: უფერად თუ არ უფერადა ანდა ვის საად დაეგულებინა უკეთესი არტალა, იცოდა, რომ უნდა გამოცლოდა.

ოთარ ჩხივიძე იმასაც აუხსნიდა თანამესუფრეთ, რომ ლუარსაბ თათქარინე საკმაოდ რთული ხასიათი გაბლდათ და არც ისე იოლად ხელნამოსაკრავი, როგორც ერთი შეხედვით მოჩანდა და საბჭოური კრიტიკა კი გულმოდგინედ ცდილობდა სწორედ ამ გარეგნულისა და მარტოების დამკვიდრებას შეითვალის ცნობიერებაში. არადა, ვისაც ყურნი ასხდა სმენად, დაე ჩაკვირებოდა იმ გამოცემას, რაც ოთარ ჩხივიძის თეოდ საბოკას, შავედ დადიანის, გერონტი ქიქოძისა და შავედ ინგოროვსაგან სმენიდა და ახლა მვარტალეთა საზოგადოების წევრებს უმეორებდა დამკვივებით:

— ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ თუქვამს თურმე, ლუარსაბ თათქარინეში საკუთარი თავი გამოვებატო.

სულრა აბმაურდებოდა. ზოგი ჩაუკვირდებოდა ამ სიტყვებს, ზოგიც მტკიცებას მოჰყვებოდა: იბუმრა აღბათ, ანდა რომ სახელობის საზოგადოებაც ჩამოვკვივავლიბებოდა.

ხუმრობა და ტაქტიკა აქ არაფერ შუაში არ უნდა იყოს, თედოსაც, შავედასაც, გერონტსაც და შავედასაც სჯერათ, რომ საეგნებო გულწრფელი სიტყვებია და ლუარსაბის სახის შესწავლა ამ თვალთახედვითი ძალზე საგულისხმო უნდა იყოს, — ოთარ ჩხივიძე.

შენ იციო, — შავგულიანებდნენ, — მითუმეტეს, ავერ მისი სახელობის საზოგადოებაც ჩამოვკვივავლიბებოდა.

ხალისი ხალისად და თუდო უთურგავით ერთ დღესაც რომ იფიქრებდა, თითქოს თანდათან იფიქრო და მხიარულება აკლდებოდა ჩვენს გაერთიანებას, მის გამოსაცოცრებლად და გასამკვირებლად რაღაც ახალი საშუალების გამოძიებას მიიწმინდებდა.

დღედაღამ ამბულა ფიქრობდა.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი



ნუთუ თეთრად გათენებულ ღამეებს სასურველო რამ არ უნდა მივინიშნებინათ?

და ერთ დღესაც საგანგებოდ რომ დაელოდებოდა ოთარ ჩხეიძეს, ის შევიდოდა თუ არა შენობაში, მაშინვე ხელს მოავლებდა და იქვე, დერეფანშივე ფანჯრის რაფაზე დაღვებულ ფურცლებთან მიიყვანდა უჩვეულოდ ანთებულ, გაკინებული, ეჭპერებოდა, ვიდრე ამასაც გულიანად გააცინებდა, მერე კი სხვებსაც გაუჩენდა საოხუნჯო მასალას.

— ნუხელის ძილი გამიტყდა და ნახე, აგერ რა შეგადგინეს...

ამისთანა მანც რა შეადგინა?

თურმე:

„ლუარსაბ თათქარძის სახელობის მეარტალეთა საზოგადოების წესდება“.

თავში დიდი ასობები გამოეყვანა და კიდევ მოეჩატა და მოეჭურჭურჭურბინა.

სხვა ფურცლებს თან ხელში აჩქებდა და თან სული უსწრებდა, თვითონვე ნაკითხა საზოგადოების სტრუქტურაც და თვითული წევრის ვინაობაც თავისებურად დაედგინებოდა: ესაო და — პრეზიდენტიო, ესაო და — მირჩეველია საბჭოო, ესაო და — დაეთარხანის გამგეო, ესაო და — მოღარეთუხუცესიო...

ოთარ ჩხეიძე ბოლომდე აღარც დააძვდა, ისე აუტყდებოდა სიცოლი.

იმხანად უკვე ფიქრობდა „პორიაცე“ და სოფეტიც გააზრებოდა ჰქონდა, თუ როგორ შეადგინა თავისი მოვალურების რუკა ახალგაზრდა კომპოზიტორმა: სად მისულყო, მერე საიდან სად გადასულიყო — რომელი ოჯახიდან რომელ ოჯახში, ღამის გასათვითიც რომ უშონა და განმყოფობიც, რათა სახლური სიძვერები შეეკრინა და ჩაენერა, თუ როგორ ჩაუვარდათ ხელში ეს რუკა ხელისუფალთ და როგორ გამოიყენეს — სასტიკად დასაჯეს უფანამაშალო ხალხი აჯანყებისათვის მზადების ბრალდებით. იცინოდა და სიცოლითვე უამბობდა.

სიმწრისა გახლდათ ეს სიცოლი, რაკილა ისეთი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მოქცეულიყვნენ, ადგილი შესაძლებელი გახლდათ ეს სახალისოდ შეფაგენილი წესდება ტრადიციულად დასრულებულიყო არამარტო ამ ადამიანისათვის, რომელნიც თვით უთურგადობის სიამი მოხვედრილიყვნენ, არამედ მათთვისაც, ვინც შორიდან ან სულაც არაფერი იცოდა მეარტალეთა საზოგადოებაზე. განუკითხაობა მანც გაატარებდათ რკინის ბეჭურში.

ხალისი ჩაუტრებოდა თვდის, ამ საზარულ შერსპექტივის რომ გაისივრებებოდა, ხმისამოუღებლად დაბედა ფურცლებს, დაკუნადა და დააბროვებდა ფანჯრის რაფაზე.

— რა ამბავია? — თავზე ნამოადგებოდით ვალერიან რამიშვილი, ლუარსაბ თათქარძის საზოგადოების კიდევ ერთი წევრი, იმ სიამიც აუცილებლად რომ ენერებოდა მისი გვარ-სახელიც, მაგრამ თვით ისე დახადრულიყო და გამტკნარებულიყო, მოყოლის გუნებაზე აღარ გახლდათ და მოკლედ მოჭრიდა:

— გამოთხოვება ბევრვინსათან...

— რა გეჭკარებოდათ? — ის გაიკვირებდა და სინანულსაც გაუჩვენდა, მაგრამ თვალს ნუთის დაკარგვაც აღარ უნდოდა, მოხვეტავდა ნაკუნებს, გააქანებდა და ურნაში გადაუხაზებდა.

ოთარ ჩხეიძე შეეხუმრებოდა:

— შენ რომ უფრო გამოცდილი კონსპირატორი იყო, დაწვადი კიდევ.

და აანრიობდა თვდის, მართლა დაწვა ზომ არა სჯობდა, ეს ნაკუნები არაიენ ამოკარგოს და გაამთლიანოს ბოროტი განზრახვითი.

დრო გახლდათ ისეთი.

და ეს არ მოეგებებოდა და დროდადრო ღიმილით მიახედებდა იმ ურნისაკენ, თითქოს მიანიშნებდა, ვაითუ ჩვენი მოსალოდნელი დარბევის საფრთხე კვლავაც იქ იმალებოდა. ის მერეც ვერ დანაწარმებულიყო: ეს რა შარში გაგებულადი ყველას, თორემ მე ჯანდაბას, ჩემზე პიოც იქნებოდაო. ეს ეპიზოდი „ჩემი სავანის“ ფურცლებზეც გადაიანაცვლებდა. საბედნიეროდ, სიუჟეტში გვეღარ მოხვდა სხვა ეპიზოდი, გარეგნულად არანაკლებ კომიკური, მინაგვანად კი რამხელა ტრავმაშით აღსასეს.

კიდევ ვარც, რომ ის სხვა ეპიზოდი ვერ მოხვდა — თუ როგორ ნამოკრეფდნენ ამ არტისტულ-ბოჰემური წრის წევრებს „პორიაცე“ პერსონაჟებით და თბილისის გზას გაუყენებდნენ. ვარის გზას გაუყენესო, — ეს ტრადიციული სულით გაქცენილი იდიოზური გამოთქმა თუ „პორიაცის“ გმირებს გაუბდებოდათ საბედისწეროდ, თბილისის გზაზე გაყენება ამით გადაკარგავდა მოუსაგებელი. გზაში დახვრეტაც უკვე აღარ ხდებოდა, მაგრამ ციხე-კატორა ვითომ რა საამური გახლდათ?!

ამიტომაცა, რომ დავით ჯობაძე დაეთარხანის გამგებლობას რომ ვერ შეეღობა, ზემოთ მენატრანების იკისრებდა — დაეთარხან ამ შეადგენდა, კვალს არ დატოვებდა, მხოლოდა დავიამასოვრებდა.

იმეფითი მესხიერება უკიჟინდა და ამიტომაც გადაწვდებოდა ბევრ სფეროს. თავის დარგში — ბოლოვანი გახლდათ — განსაკუთრებულ წარმატებებს რომ მიიღებდა და მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებსაც მოახდენდა, ალბათ იმ იმეფით გამწვანაკლისთა შორის ისიც მოხვდებოდა, მართლა ვისაც შემეფეროდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრობა; და ამის გარდა — ლიტერატურა გუნებათ, მხატვრობა, მუსიკა... შეიძლო რამდენიმე ოპერა თავიდან ბოლომდე ემღერა თუ ელილინა, არ აციწყებოდა არაფერი, რაც მისი თვალთმაჯეფის არგვი მოქცეობდა და რადა ლუარსაბ თათქარძის სახელით აღბეჭდილი სერობები მიმოეფანტებოდა.

ახლაც კიო, — ელიმებოდა ოთარ ჩხეიძე, „ჩემი სავანის“ წერას ორდესაც უყვდა, — თუ შევებუდებით ან შევიყრებით, იგონებს და იგონებს ყოველ წერილმანს შეუძლებლად, თვით ისეთებსაც, რომელთა დაეცივნება ეცემ სჯობდა კიდევცო.

ელიმებოდა და... ამართლებდა თვით ასეთ დეტალიზებულ აღდგენასაც მაშინდელი დღეებისა: — მაგრამ ისტორია პო ისტორიაა... — არაფერს არ ივინყებს, არაფერსა შლის, არც არას აღამაზებს, არც არაფერს ამბინჯებს. ისტორია ისტორიაა.

ეს ის სამედილი, ჭეშპარტი ისტორია, გარდებულო ყოველგვარ კანონსა და კონვენტურას, გამოჯნული ხელისუფლების ნებაზე დატრიალებას, და ხან სულაც ზემოთ მატრიალებს უპრინციპო — დავით ჯობაძის ფაშთაღმწერლობისა არ იყოს.



ჯერ მას მინდობოდა ამ ბოქმურ-არტიტულ თავყროლობათა ბიოგრაფიასობა და პირნათლადაც მოიხადა თავისი ვალი.

მერე უკვე ფოლიანტებს უნდა შეფარებოდა იმ კაცის ხელით, ვისაც ეს ბუდე შეეძინა გორისათვის.

ლექტორთა ერთ წრეში თავისებურ პაროლად თუ დევიზად დამკვიდრებოდაო...

ეს თავიდან, თორემ ლუარსაბ თათქარიძის სახელიც და ეს პაროლიც თანდათან აკი შემოიკრებდა თავის ვარშემორევისორებსაც, მსახიობებსაც, მხატვრებსაც, მუსიკოსებსაც, ახალგაზრდა მწერლებიც შეემატებოდნენ, ოთარ ჩხეიძის დაზრდილები და უკვე ამ მარქათმაც გამორეულენი.

ომარ ჩუბინიძე არა მწერლობდა, თუმცა ვატაცუბოლიყო ლიტერატურითაც, მხატვრობითაც, თეატრითაც, მუსიკითაც, ადამიანებთან დახალისების იმეითაი უნარიც ჰქონდა და არაერთ სახელგანთ პირობებსაც დაემეგობრდებოდა — ცხადია, გორს ვერ იმყარებინდა და თბორისშიც ხშირად უნედა მისა-მოსვლი.

ლევან გითუასაც დაუხალისებდებოდა — ეთაყვანებოდა როგორც მწერალს და როგორც გაუტყუელ ადამიანს, ფოჯოხეთგამოყოლილს ერთი მნიკელიც რომ ამ მიცხებოდა და საქარეოლოს სახელწიფოს დადგენის მოლოდინში თავი არ ეზოგებოდა. თავისებური იდეალი გახლდა ბეგრისათვის და, მათ შორის, ომარისათვისაც, ვინც ერთ-ერთი სტუმრობისას ამცნობდა გორში ლუარსაბ თათქარიძის სახელობის საზოგადოების არსებობას, ბოქმურ-არტიტული გაერთიანების, და იქ განვირინებდაც შესაჯავებდა.

ეჭვი არ ეპარებოდა, ოთარ ჩხეიძე სიბარულით შეხედებოდა იმ წრეში ლევან გითუას შემომატებას, და სიორპრისს უშნაძედა — ლევანისგან უეჭველ თანხმობის რამ მიიღებდა, მხოლოდ მერე ამცნობდა თავის მოძღვარს ამ საამაყო ამბავს.

ლევან გითუა ხალისით, დიმილით მოისმენდა მვარტალეთა საზოგადოების ჩამოყალიბების პერიპეტეიებს და მხურვალედ შეპირდებოდა: აუცილებლად ჩამოვალ ხოლმე, ოთარის გვერდით სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ამ შეკრებებშიც, ეს რა კარგ რამ მოუფორქებიაო.

და გამოცილებისას დაადევნებდა:

— არტლა წედი როგორა ხართ?

— ვაცივითა ვარ, ვაცივითა? — შემოსცინებდა ომარ ჩუბინიძე და კიბეზე კისრისტებით დაეშეუბოდა, რათა ნუ-თუც არ დაეკარგა, ვიდრე ოთარ ჩხეიძეს მოუყვებოდა ამ ყოველივეს შექების მოლოდინში.

მაგრამ... მოძღვარი გაიგანდებოდა და გაუნყურებოდა კიდეც, ეგ რამ მოგაფიქრობა.

— არ იცო, რა ცხოვრება ვამოიარა?.. სამჯერ დააპატმირეს და სასტკე პირობებში უნედა ყოფნა გადასახლებბაში, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფარულ ორგანიზაციებში მონაწილეობას სდებდნენ ბრალად. და ახლა შენ შხვევ სახიფათო ქსელში?.. შენ არ უკვირდები, არ უკვირდები, იმისი მიკვირს, ახხელა სატანჯველი გამოვლო და ისევ შამეფითი არის, თორემ გაერთიანების ხსენებისთანავე ოჯახიდან უნდა გამოესტუმრებინენ.

— ეს ყველაფერი ხომ ხუმრობითაა, ბოქმური საზოგადოება განა ვა ან თვალში უნდა იხედვდეს რაიმე ექვს? — აბუტბუტდებოდაცა ჭახუკი.

— ტყუილად გელაპარაკები, ასე გამოდის. უშიშროებას საბაბი სჭირდება ლევან გითუას წინააღმდეგ და უკეთესი საბაბიც რაღა ვინა? — რაღაც ფარულ ორგანიზაციაში განვერიანება, დანარჩენებს შესაძლოა უფრო მსუბუქი სახელიც ვეგამოვინო, მაგრამ ლევანს უსათუოდ მოუნევეს ჩრდილოეთის ბნაას კიდეც ერთხელ მონახულება. სასწრაფოდ ნამოხვალ თბლისში, მოინახულეზ ლევანს და ეტყვი, რომ გორში არავითარი ბოქმური გაერთიანება არ არსებობს და არც ლუარსაბ თათქარიძის სახელი დაფრქმევით. შენ მხოლოდ გაეხუმრე და არავითარი აუცილებლობა არ არის, რომ ეს ხუმრობა მანაც იმეოროს.

ომარ ჩუბინიძე მაინც ვერ მიხედებოდა, რატომ უნდა ყოფილიყო ასე სიამოვნ სახალისო შეკრებები, მაგრამ რაკიდა მოძღვარი მოითხოვდა, ვალდებული ვახლდათ, მისი სიტყვები აღსრულებინა.

მოგვიანებით ოთარ ჩხეიძე რომ შეხებებოდა ლევან გითუას, რიდით ჰქადრებდა საყვედურს: ვასაკვირია, ამდენი დაჭრა-გადასახლების შემდეგ ასე იოლად რომ შეგიძლიას თუნდ საუბარო გაერთიანების ნეერობას დაეპაუდიდე.

გაითყვედა ლევან გითუა:

— რა მოხდა მერე?!

— შარი რომ მოვადონ, ისედაც ამომიზნებელი ჰყავებარ! — მავდენი კი აჯარ მიფიქრია.

აბა, რაღას ფიქრობო, ეს უკვე აღარ შეუკადრებია მისთვის ოთარ ჩხეიძეს, თავისთვის გაივლებდა ვუნებამაც: ბავშვად რომ რჩები ადამიანი, ეს იდეალურსებაა, მაგრამ ნამეტანი არაფერი ვარკვაო.

და გორში ჩამობრუნებული ერთხელ კიდეც გაუტყუარებდა ომარ ჩუბინიძეს: რას სწადინარ, არ უნდა დაფიქრდეო?.. და მომავალი რომანის ზოგად სიუჟეტს მას ახლავდა უამბობდა.

სიცილით დასძენდა:

— ნესდებაც კი არ შევადგინო თედო უთურგაიძესაგიო. ის სულაც მხრებში ჩაძვრებოდა:

— რაღაც ეგეთს მართლა ვაპირებდი, ბატონო ოთარ!..

ვიფიქრე, ურიგო გასართობი არ იქნება-მეთქი...

— აბა, უკვირ!..

ამიტომაც იტრიალებდა მვარტალეთა საზოგადოება მხოლოდ განმოხილთა ცნობიერებასა და საუბრებში, და ხალისობდა ლუარსაბ თათქარიძის ლანდი, ხშირად რომ გაისმოდა მისი სახელი, თურმე ასერიგად დასაფასებელი: არ ვიყავი ღირსი ცალმხრეოდა, დაკნინებულად გააზრებისა, მოთმინებით ვეულოდებოდე ღრმა, ყოველმხრივ განსჯას და აბა, კიდევცო...

პირველ სიგნალად კვლავაც ის რჩებოდა, მოუცილებლად რომ გამოეშვებოდა ამ არტისტულ-ბოქმური საზოგადოების მთელ ისტორიას, განსწავლურელს გორის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მთავარი დინებისა: — არტალაზედ როგორა ხარ?

— ვაცივითა ვარ, ვაცივითა!

მეორტალეთა საზოგადოების ისტორიაც სადღაც უნდა მოთავსებულიყო, თუკი ვამტყულებდესსა თუ აღმდეგუნებს ვერ იშოვნიდა, მოთაუების მიჯნად კი 1981 წლის 21 იანვარს დაიდავებოდა, როდესაც ოთარ ჩხეიძე საბოლოოდ განიზიარებდა გორის ინსტიტუტის კარს: ჭუდიც რომ შემიგდონ, აქ შემომსვლელი აღარ ვარო.

უმიხოდ ერთბაშად ჩაკედებოდა ეს შეკრებები. ნაშთები გადარჩებოდა, ცხადია, მაგრამ ის მთავარი ძარღვი გაქრებოდა და მხოლოდ შორეულ, ბუნდოვან სსოვნად შემორჩებოდა.

რაკილა იმ თავგრილობათა სული და გული ოთარ ჩხეიძე გახლდათ, უმიხოდ არამცთო ღაზათი მოკალდეობა და აგერ სულაც დახარულვება თავის არსებობას.

ნუთუ პაერში გამოეკიდა ჩემი ბედი? — თავისას ნაღვლობდა ლუარსაბ თათქარიძის ლანიდ, შაბლონსა და სტერეოტიპებს შერჩენილი, — აქედან დამხსენელი ვინდა გამოიჩინებდა...

ახალი თავანღეულის დამდეგს მისი აპოლოგია რომ გამოქვეყნდებოდა გახვთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე (2003, 21 თებერვალი) იმთავითვე ნავარაუდევო მონოგრაფიის „ნიკოლოზ ბარათაშვილიდან ლუარსაბ თათქარიძემდე“ ერთ-ერთ თავად, რა გასაკვირია, ეს აპოლოგია ოთარ ჩხეიძის საუბრებში ყოფილიყო შთაგონებული, ამოსავალი კი ის გამზადარყო, ილია ჭავჭავაძე თავს რომ უფიგებდა ამ პერსონაჟს, თან ეტელიკობდა საკუთარ თავს, არც ირონიას იმურებდა, მაგრამ პირველ ყოვლისა კი იმ ტკივილებს გამხევედა ლუარსაბის სახეში, თუ როგორ იკარგებოდა, თვალდათვალ ქრებოდა ცველაზე ძვირფასი და სანუკეარი, რაც გარშემო გვეულებოდა, ყველაზე შეწყვეული და ინტიმური, და მენ არაფერი შეგეძლო ამ დაუნდობელი პროცესის შესაჩერებლად.

ესეც ამ პერსონაჟის უაღრესად რთული, სხვადასხვაგანაზომილიანი სახის, მისი ტრავმატიკული უშთაერესი ხიბლი და შთამბეჭდაობის ძალა.

პატრიარქალური გარემო თავის განსხვავებულობას როგორღაც ჯერ კიდევ რომ იზარალებდა, ლუარსაბ თათქარიძის ფილოსოფია სწორედ ამ გარემოს შესაფერი სი გახლდათ — დიას, მდორედ მდინი დროის, ერთი მთლიანის და არა ნუთუბად და ნამუბად დანაწევრებულის, უპირველესად დადგენილი ნესრვისა რომ სწამს და ბუნებისა და ბუნებრიობისაგან მოწყვეტა ძალიან აშიწნებს, რაკილა ამ პროცესში ზედაეს თვითშეფიქრების, თავისთავადობის ნიშნების თანდათანობით მასობის საფრთხეს... ხოლო თანასწორობის მოთხოვნა მისთვის ღვთაებრივი დადგენილების მოშლისაკენ სწრაფობა, ადამიანისა და კაცობრიობის გაქეცება იმერისმოკლებულ სახეობაში გადასატყორცნად, საიდანაც ეგებ ოდესმე აღმოჩნდება თვალაღწევის გზა და... ეგებ ევლარც ვერსაოდეს.

მისი უზომოტობა, მისი საილაღე და გულუზრცყილობა კიდევ ცალკე.

მისი უწყინარი გართობა ბუნების თვლით — ამ უჩვეულო სამყაროში თავისებურად ანიმტაციანადც რომ წარმოვიდგება, ყოველ შემთხვევაში მასზე ნაკლები არ გახლავთ. და კიდევ და კიდევ...

ღრმა და მრავალფეროვნებით აღბეჭდილი შერეები და ნიუანსები საკმაოდ გამოვლინდება მის ხასიათში, თუკი ანალიტიკური განსჯა სადაღე ზედაპირზევე არ შექერდება.

არტლანზედ როგორა ხარო? — აქეთ გვეკითხავდა ლუარსაბ თათქარიძის ლანიდ, წინასწარვე აფოფინებული სასურველი პასუხის მოლოდინში.

როგორ იყავი და...

